ინფორმაცია
2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის

➢ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის:

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ (შემდეგში - ,,მაუწყებელი“), საკუთარ ეთერში **ყოველ საათში გამოყოფს 5 წუთს** წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და **ყოველ 3 საათში** თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსებს თითოეული უფლებამოსილი პარტიის მიერ წარმოდგენილ წინასაარჩევნო რეკლამას, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო **90 წამს არ აღემატებოდეს** (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს).

დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის.

➢ წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება სუბიექტებისათვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან 2024 წლის პარლამენტის არჩევნებში:

კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის გარდა, სხვა პარტიის წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განთავსების მიზნით, მაუწყებლის ეთერში გამოიყოფა **ყოველ საათში 10 წამი თითოეული სუბიექტისთვის და ყოველ 3 საათში თანაბრად** და არადისკრიმინაციულად, თითოეული პარტიის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა განთავსდება იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი პარტიისათვის გამოყოფილი **სარეკლამო დრო 30 წამს არ აღემატებოდეს.**

➢ წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების დრო და ტარიფები:

მაუწყებელში წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებისათვის საეთერო დრო გამოყოფილია **2024 წლის 06 სექტემბრიდან 26 ოქტომბრამდე** პერიოდში, ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის.

მაუწყებლის სატელევიზიო არხსა და რადიო ეთერში (FM104.5) ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისათვის შეადგენს 60-60 წუთს, ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთად.

მაუწყებლის ეთერში წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების ტარიფები:

სატელევიზიო ეთერში		
პროგრამის გასვლის დრო	**გასვლის დღე**	**1 წთ-ის ღირებულება ლარებში, დღგ-ს ჩათვლით**
08:00-17:59	ორშაბათი-კვირა	850
18:00-23:59	ორშაბათი-კვირა	3000
00:00-02:00	ორშაბათი-კვირა	700
რადიო ეთერი FM104.5 ეთერში		
პროგრამის გასვლის დრო	**გასვლის დღე**	**1 წთ-ის ღირებულება ლარებში, დღგ-ს ჩათვლით**
08:00-17:59	ორშაბათი-კვირა	250
18:00-23:59	ორშაბათი-კვირა	300
00:00-02:00	ორშაბათი-კვირა	200

- **წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ეთერში განთავსების პირობები:**

საარჩევნო სუბიექტმა წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად უნდა წარმოადგინოს მაუწყებლის დირექტორის, ვლადიმერ ტატიშვილის სახელზე ოფიციალური წერილი და სარეკლამო რგოლი მისამართზე: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ.N 41 ან ხელმოწერილ, ოფიციალური წერილის სკანირებული ვერსია და რგოლის ლინკი ელექტრონულ ფოსტაზე: zurabjijavadzetv@gmail.com

სარეკლამო ბლოკში საარჩევნო სუბიექტის რიგითობა განისაზღვრება მაუწყებელში შემოსული საარჩევნო სუბიექტების წერილის (განაცხადის) რიგითობის მიხედვით და ყოველ მომდევნო დღეს განთავსდება როტაციის პრინციპით.

სუბიექტის მიერ წარმოდგენილი კანონით გათვალისწინებული ქრონომეტრაჟის რგოლი თუ არის რამოდენიმე და საჭიროებს მედია გეგმას, სუბიექტმა ელექტრონულ მისამართზე zurabjijavadzetv@gmail.com უნდა გამოაგზავნოს განთავსების მედია გეგმა და შეათანხმოს სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურთან. სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაო დღეს. რგოლის ჩანაცვლების ან მედია განთავსებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა გვაცნობოს ერთი სამუშაო დღით ადრე ელექტრონულ მისამართზე zurabjijavadzetv@gmail.com, ხოლო სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაო დღეს.

კვალიფიციური სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლის ხანგრძლივობა ყოველ **3 საათში არ უნდა აღემატებოდეს 90 წამს.** კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების გარდა, ყველა სხვა პარტიისა მიერ წარმოდგენილი რგოლის ხანგრძლივობა **ყოველ 3 საათში** არ უნდა აღემატებოდეს თითოეულისთვის 30 წამს.

სხვა ქრონომეტრაჟის შემთხვევაში სუბიექტის მიერ გამოუყენებელი საეთერო დრო არ ანაზღაურდება შეკრებითობის პრინციპით.

აუცილებელია პოლიტიკური რეკლამის ეთერში განთავსებისას, დაცული იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმალური და შინაარსობრივი მოთხოვნები. დადგენილი მოთხოვნების დარღვევით წარმოდგენილი წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის წარმოდგენისას მაუწყებელი იტოვებს უფლებას არ განათავსოს ასეთი პოლიტიკურ/წინასაარჩევნო რეკლამა, რადგან წინასაარჩევნო რეკლამის მოთხოვნათა დარღვევით განთავსება მაუწყებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

- **წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ტექნიკური პარამეტრები:**

პოლიტიკური რეკლამის განთავსებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს დატანილი წარწერა **„ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.** იმ შემთხვევაში, თუ წინასაარჩევნო რეკლამა არა ტელემაუწყებლის, არამედ რადიომაუწყებლის მეშვეობით გადაიცემა, მაშინ წინასაარჩევნო (პოლიტიკური) რეკლამის დასაწყისში უნდა გაჟღერდეს შემდეგი ფრაზა: **„ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 186-ე მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის **არანაკლებ 10%-ს.** ამასთანავე, რეკლამა ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მისი დასრულებისას, არანაკლებ ბოლო 1 წამის განმავლობაში ნაჩვენები იყოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი, იმგვარად, რომ სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი იკავებდეს კადრის **ფართობის არანაკლებ 50%-ს.** ამ პუნქტით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში მაუწყებელი არ განათავსებს შესაბამის პოლიტიკურ/წინასაარჩევნო რეკლამას.

მაუწყებლის ეთერში განთავსებულ პოლიტიკურ **რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი** . სურდოთარგმანის უზრუნველყოფა პოლიტიკური რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა. შესაბამისად, თუ პოლიტიკურ რეკლამას არ ექნება სურდოთარგმანი, იგი არ განთავსდება მაუწყებლის ეთერში. სურდოთარგმანის მოთხოვნა ვრცელდება პოლიტიკური რეკლამის შინაარსზე სრულად, მათ შორის, პოლიტიკურ რეკლამაში გამოყენებული მუსიკის ტექსტიც უნდა იყოს ადაპტირებული.

სარეკლამო ვიდეორგოლის პარამეტრები: TARGA ან HDTV 1080i 25 ფორმატში 1920X1080 რეზოლუციით; ხმა - სტერეო, 48 ჰერცი, 16 ბიტი, max 6 დეციბალი- min 18 დეციბალი.
რადიო რგოლის პარამეტრები: Wav ან MP3 ფორმატში 48 kHz Stereo ან Mono.

- **წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის შინაარსობრივი მოთხოვნები:**

მაუწყებლის ეთერში არ განთავსდება ისეთი რეკლამა, რომელიც ახდენს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, გენდერის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ადგილის ან ასაკის ნიშნის მიხედვით ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას (სიძულვილის ენა). ასევე საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.

დაუშვებელია ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო რგოლის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება. საარჩევნო სუბიექტის რეკლამა არ უნდა შეიცავდეს სხვა საარჩევნო სუბიექტის არჩევისათვის ხელის შემწყობი რეკლამის ელემენტებს, მათ შორის, მის წარმომადგენელს, რიგით ნომერსა და სიმბოლიკას.

- **რეკლამის წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამად დაკვალიფიცირება:**

რეკლამის წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამად დაკვალიფიცირებისათვის, საკმარისია სახეზე იყოს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთი მაინც:
ა) რეკლამის მიზანია საარჩევნო სუბიექტის არჩევის ხელშეწყობა/ხელშეშლა;
ბ) რეკლამაში ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი / მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი;
გ) რეკლამა შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს/მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლებისციტოდ გამოტანილი საკითხის თაობაზე.

- **პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დასაშვებია პოლიტიკური რეკლამის გავრცელება:**

მაუწყებლის მიერ წინასაარჩევნო რეკლამის (როგორც ფასიანი, ასევე უფასო) გავრცელებისათვის დადგენილი საწყისი პერიოდი არის კენჭისყრამდე 50-ე დღე.

პოლიტიკური რეკლამის გავრცელება წყდება კენჭისყრამდე 8 საათით ადრე.

- ***<u>საკონტაქტო ინფორმაცია:</u>***

სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების კოორდინატორი ზურაბ ჯიჯავაძე.
ელ. ფოსტა: zurabjijavadzetv@gmail.com.